სახალხო გაზეთი

№ 680 ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 1912 წ. № 680

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკვასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიდება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ავტორა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავ ხელნაწერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინსტიტუტ — თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესი: გამოცემა „...

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

აგენტი მ. ა. გაჟონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტიცელი", ტელეფ. 3—80.
(10.1436.3) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში

ოცდა-შვიდიდამ ამ მარიამობის თვიდამ პირველ ენკენისთვემდინ მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (5—1443—2)

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის ქერქო სამკურნალო

ცხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.	
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.	
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.	
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.	
	მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.	
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.	
	ფეიდოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.	
ფსიქიატრ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.	
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.	
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.	
საშობიარო	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.	
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.	
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.	
	თოკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.	
ბავშვების	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.	
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.	
	ფეიდოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.	
ნერვ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.	
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.	
ყელ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.	
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.	
თვალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.	
კან.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.	

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის განხილვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოხსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **ფამლის შემხაპუნება**, ელექტროთი ფამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (ფ. 10.98)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

ორ 00 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება. მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში -ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасія Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—2)

ამა წლის აგვისტოს 21-დან გამოდის ქუთაისში ყოველ დღიური **საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი**

„დ ი ღ ლ ა".

გაზეთი ღირს ჩვენში:

წლიურად . . .	7 მ. —	საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი ღირს, ვინემ ქუთაისში ღირს.
ნახევარი წლით .	4 მ. —	
სამი თვით . . .	2 მ. 40 კ.	
თვიურად . . .	— 90 კ.	
ქუთაისში თვიურად	80 კ.	

ცალკე ნომრის ფასი ყველგან 5 კ.

21 აგვისტ. წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 3 მ. განცხ. ფასი: პეტიტის სტრიქონი პირველ გერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., თვიურად და წლიურად მორიგებით. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ერთხელ 3 მ., ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ 4 მ.

ფული უნდა გამოგზავნოს მხოლოდ შემდეგი ადრესით:
Кутаисъ Михайловская ул., Мезитону Петровичу Асатіани.

სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქცია იმყოფება ალექსანდრეს ქუჩაზე, სახლი თედორაძისა № 6 (3—415 4—)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ეზაფხულისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორლანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სილნაღში—ექ. ჯანდიერთან.
ხონუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

„ტფ. ქართ. საამხანაგო მომლერალ-მგალობელთა გუნდი".

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** როძელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი 1 **ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც გუნდის მიწვევა, ახალ წვრთნა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეფავასთან,** კვირაცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.

(10.1449.2) **გუნდის გამგეობა.**



საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანამამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(ფ. 1020 369)

ვაგზლის პერქო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოტოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების ვასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

ნავლოგა „606" -

(წლ— 1018— 60 .

ექიმი ნ. ტ. მ ულ ი ნ ი ყელის, ცხვირ. და ყურ. ავადმყ. ვერის დაღმართი, № 3 დილ. 12—2 ს. და საღ. 7—8 საათ.

(2 - 624—1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ბუთმაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. ბაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ლრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1010 -124,

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14.

(0 —1411—29)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა. № 12.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. **თელავში**. 3—9 საათამდე.

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045 (8)

ქართული პრესა

გამოვიდა ქუთაისში გაზ. „დილა" და ერთბამად გადმოხეთქა დემაგოგიის ნიაღვარმა. „დილა"-ს, რა თქმა უნდა, არაფრად ეკაშნიკება ის გარემოება, რომ ჩვენში ცნობილ მიმართულებას ლილა-ხანა გაუცვდა და წყალ-წაღებულსავით ხავსს მოეკიდა. იგი გვეკამათება ჩვენ, ეკამათება „ქართლს" და გზა-ტ-გზა ისეთს მარგალიტებსა ჰფანტავს, რომ ცნობილ იგავის მომქმედი პირიც კი იუკადრისებდა მათს აკრეფვას. დევიზი—დაცვა ეროვნულ ინტერესებისა და დემოკრატიზმი „დილა"-ს ორსკამზე ჯდომად მიაჩნია. ალბად ამას წინად დაბეჭდილ ბ-ნ ნ—ის წერილებსაც კი ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია მასზე! „დილა"-ს ამოუწერია გაზეთ „ქართლი"-დან სიტყვები: „ამ რიგად ჩვენი მომავალი დეპუტატი უსათუოდ კარგი მამულიშვილი და დემოკრატი უნდა იყოს" და მის დარღვევასა სცდილობს.

„ე. ი.,—სწერს „დილა",—სხვანაირად რომა ვსთქვათ, მან ერთსა და იმავე დროს ორს სკამზე ჯდომა უნდა მოახერხოს, ორი დროშა ააფრიალოს, ორი სახით იაროს, ორ ღმერთს ემსახუროს".

საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოსაზრებით შეიძლება ადამიანი წინაღმდეგი იყოს იმ დებულებისა, რომელიც ზევით მოვიყვანეთ? როგორ? მაშ თქვენს აზრით, ქართველი დეპუტატი ცუდი მამულიშვილი უნდა იყოს? ტყუილად ირჯებით. ბევრი ეცადეთ, რომ ქართველის გულიდან ქერთველობა აღმოგეფხვრათ, ბევრი ეცადეთ, რომ მამულიშვილობა სამასხარაო საგნად გაგეხადათ და ეროვნულ გათვითცნობიერებისთვის ჩრდილოეთის შავი სუდარა გადაგეფარებინათ, მაგრამ მოსტყუვდით. ჩვენდა საბედნიეროდ და თქვენდა გულის სახეთქად დიდი-ხანია წავიდა ის დრო, როდესაც უდიდეს პრობლემას სიტყვების შაერევანში ჰხვევდით და მამულიშვილობა ქუჩაში გამოგქონდათ სათრეველადა და შესაგინებლად.

ახალი ამგავი

ტფილისი

✦ **ეგნატე ხრამელაშვილის დასაფლავება.** გუშინ დაკრძალეს ტფ. მეორე საკომერციო სასწავლებლის მასწავლებლის და ქართველ მოღვაწის ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილის ნეშტი. დილის ცხრა საათზე განსვენებულის ბინაზე შეიკრიბნენ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელნი და განსვენებულის ნათესავ-ნაცნობნი და პატივისმცემელნი. პანაშვიდის შემდეგ ცხედარი წაასვენეს დიდუბის ეკლესიაში, სადაც წირვა გადაიხადა ქალაქის სამღვდელოებამ. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა და შემდეგ ეკლესიაშივე არქიმანდრიტმა ნაზარიმ პანაშვიდი გადაიხადა ქალაქის სამღვდელოების მონაწილეობით. წირვისა და პანაშვიდის დროს გალობდა კ. ჩარკვიანის გუნდი. დაესწრნენ წარმომადგენელნი: ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა, „სახალხო გაზეთი"-სა, ქალაქის თვით-მმართველობისა და სხვანი. ეკლესიიდან ცხედარი გამოასვენეს და იქვე, გალავნში, დაკრძალეს. საფლავზე სიტყვები წარმოსთვეს: საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელმა ა. ნატროშვილმა (რუსულად) და ამავე სასწავლებლის მოსწავლეებმა.

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის შესახებ.** 18 აგვისტოს სარედაქციო კომისიამ მოწვეულ პირთა თანადასწრებით საბოლოოდ გადასაწყვიტა სხვა და სხვა ტეხნიკური საკითხები, გარდა შრიფტისა და ასო-მთავრულისა, რაც გადიდო შემდეგ კოებისთვის, რადგანაც ზოგიერთი მცოდნე-პირი ხსენებულ კრებას ვერ დაესწრო. ამ კრებაზედვე კომისიას დაუდგენია განხილვა ბიოგრაფიისა, რომლის შედგენა დაევალა ამა წლის მარტში კომისიის წევრს გრ. ყიფშიძეს, მოახდინოს ამავე წლის 2 სექტემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე, არჩილ ჯორჯაძის თანადასწრებით. გარდა ამისა კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ყოველგვარი ნახატები ილიუსტრაციებისთვის დამთავრებულ უნდა იყოს 15 სექტემბრისთვის, მიჰმართოს მხატ. გრინევსკის და სთხოვოს პირობისამებრ ყველა მასზე დავალებული შრომა წარმოადგინოს არა უგვიანეს აღნიშნულ რიცხვისა. შემდეგ არჩეულ იქმნა მცირე კომისია, რომელშიაც შედიან: ი. ფანცხავა, მიხ. გედევანიშვილი, ი. ზურაბიშვილი და ი. გედევანიშვილი. ამ კომისიას დაევალა ტექსტის შემუშავება

და დასაბეჭდ მასალის მოწესრიგება და გასინჯვა.

დაწვა. 11 მარიამობისთვეს ვიღაც ბოროტ-ზომქმედებს დაუწვამთ დუქანი სოფელ ხაშის მცხოვრებლის იოსებ კოკრაშვილისა. ბოროტ-მოქმედების მიზეზი გამოურკვეველია, რადგანაც კოკრაშვილს ეჰვი ვერავიზე ვერ მიუტანია. ზარალი 800—მანათამდის არის.

საქონლის ქურდობა. სოფელ ყარაჯალის მცხოვრებს, კიაზუმ კიოს ოღლისათვის მოუპარნიათ ორი ძროხა ღირებული 120 მან. დროზედ მიღებულმა ზომებმა, პოლიციამ აღმოაჩინა ქურდები. ძროხები მოუპარავთ აქთაქლის მცხოვრებს მურსაკული სოიუნ-ოღლის და სოფელ ყარათაქის მცხოვრებლებს: ახმედ ტატა ოღლის და გასან კურბანს, რომლებიც მიუყიდნიათ ოსმალეთის ქვეშმრდომისთვის ტალიფ კერბალაი კასუმ ოღლისათვის. ზემოხსენებული პირნი სულ დაჭერილნი არიან და მეტეხის ციხეში სხედან.

ნ. ლ. პეტერსონი, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი, გუშინ ტფილისს დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთა: ტფ. მაზრის სოფელ თოხლიურის მცხოვრებს გიორგი ბერძენაშვილს და ტფ. მოქალაქეს არტემ მარქაროვს.

კვირას, 19 აგვისტოს, დილის ექვს-შვიდ საათზე, პოლიციის მე-2 ნაწილში, ვეძინის ქუჩის შესახვევში **ცეცხლი** გაუჩნდა გელიაშვილის სახლს, ცეცხლი კუხნიდან გაჩენილა და სწრაფად მოედო სახლს, მაგრამ შინაურ საშუალებით ჩაქრეს. მჭრობელთა რაზმიც მოვიდა. საერთო ზარალი მდგმურებიანად 800 მანეთს უღრის. სახლი დაზღვეული ყოფილა.

რედაქციამ მიიღო მოთხრობა ლევ ტოლსტოის, რუსულიდან თარგმნილი დათიკო ბაქრაძის მიერ. ღირს 7 კაპიკად.

სამამულიშვილო ომის დღესასწაულზე დასასწრებლად ტფილისიდან გაემგზავრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის დეპუტაცია.

მეცხვარეობა. ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, მეცხვარეობის გამოფენაზე გაჰგზავნოს 20 თუშური ცხვარი და სამი იმერული თხა.

სასწავლებლებში.

ტფ. მეორე საკომერციო სასწავლებელში განმეორებით გამოცდა დაიწყება 25 აგვისტოს, ხოლო მისაღები-27 აგვისტოს.

სასამართლო.

ნიკო ელიავას საქმე. 20 აგვისტოს ტფ. საოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ ხალხის დაუსწრებლად, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გაარჩია ნაფიც ვექილის ნიკო ზ. ელიავას საქმე. სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის 129 მუხლის ძალით. ბრალდებოდა იმ ალმანახის შედგენა და გავრცელება, რომელშიაც იყო წერილები: დღევანდელი მომენტი“ და „ვინ არის დამნაშავე“. პალატამ ბ-ნი ელიავა დამნაშავედ იცნო და წელიწად ნახევრის ციხე მიუსაჯა.

ქუთაისი.

სტუდენტი ლევან ტ. ბაქრაძე ატყობინებს, რომ სანქტ-პეტერბურგის პსიხონევროლოგიურ ინსტიტუტის **ქართველ სტუდენტთა ექსკურსია** პროფესორ დ. ძ. ოდინეცის ხელმძღვანელობით გამოვა ქ. ქუთაისიდგან 25 აგვისტოს ნაშუადღევის პირველ საათზე. ტფილისში იქმნება საღამოს ცხრა საათზე. სთხოვს ყველას, ვინც ექსკურსიით სარგებლობს დანიშნულ დროს სადგურზე იყვნენ“.

ოქრო-პარიანის დღეობა.

(დუშეთის მაზრა).

15 აგვისტოს სამების მთაზე საქართველოს ძველი დიდების, ოქროკარიანად წოდებულ ეკლესიის დღესასწაულში წმ. მარიამობას გაიმართა დღეობა.

დღეობაში მონაწილეობას იღებდნენ განურჩევლად ეროვნებისა ყველა მახლობელ კუთრხეების წარმომადგენლები: დუშელები, ახალგორელები და სხვანი.

ტფილისის ინტელიგენციამ, თავად კოლა ერისთავის მეთაურობით, განიზრახა საუკეთესო მოჯირითისა, მოლეკურისა და მოჭიდავისთვის მიეცა სხვა და სხვაგვარი ჯილდო ნიშნად გამარჯვებისა.

13 აგვისტოს ზემოხსენებული ინტელიგენცია, რიცხვით 25 კაცამდე, ტფილისიდან ახალგორში გამგზავრა.

როდესაც კოლა ერისთავის მამულში მივედით ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა უზარმაზარი ციხე დარბაზი გადაჰყურებს ქსნის ხეობას და თითქოს იდუმალის ენით ეუბნება: აი, აქ იყო ძალა, რომელიც იცავდა ქართველ ერს გარეშე მტრისაგანაო.

ციხე-სასახლეს ორპირი გალავანი არტყია. ერთი გალავანი ზღუდავს 20 დესეტინამდე მიწას, სადაც ეხლა სხვა და სხვა ნამყენი და ნათესი ჰხარობს, ხოლო მეორე გალავანი თვით სასახლეს არტყია. სასახლე ორ-სართულიანია, დაბლა სართული, ცოტა არ იყოს, ბერძნულ სტილს მოაგონებს კაცს თვისის მრავალ და უზარმაზარ სვეტებით.

სვეტებზე მაღლა ჩუქურთმებია. დაბლა სართული ეხლა თითქმის გაუქმებულივით არის. მაღლა სართული რვა-ცხრა ოთახისაგან შესდგება. თვითეული ოთახი ისე მოზრდილია, რომ თამამად შეიძლება თვითო ოთახში ას კაცამდე დაეტიოს. სასახლის გვერდზე კარის ეკლესიაა. მშვენიერ მხატვრობით. ხატებში მეტ ყურადღებას იქცევს „ჯვარცმა“. ეს ხატი სამი ვაზის ფიცრისაგან შესდგება, თითო ფიცარი თითო მტკაველი იქმნება და ისე ხელოვნურად არის ზედ ჯვარცმა ქრისტესი გამოკვეთილი, რომ ეხლა ძნელად თუ შეიძლონ ასეთ ჩუქურთმების ამოჭრა. გალავნის ყოველ ოც ნაბიჯის გადგმაზე კოშკებია აღმართული საისრე—სათოფურებით.

გალავანშივე იმყოფება ნანგრევები და როგორც თვით კოლა ერისთავმა გადმომცა ერთი მარანი ყოფილა უზარმაზარ ქვევრებით. მეორე მხედართა საჯინიბო, მესამე—მხედართა სადგური და სხვა.

ყველა ამ მშვენიერებას კიდ ვ ის ამკობს, რომ სასახლის წინ მედიდურად აღმართულა და ტოტები გადაუშლია სამს უზარმაზარ ჭანდარს, მათი ფოთოლნი მუდამ შრიალებენ და მწარე ფიქრს აღძრავენ ქართველის გულში.

მეორე დილით, 14 აგვისტოს 40 სული (მამაკაცი და დედაკაცი თუ ასულნი), ზოგი ცხენით, ზოგი ბოლოთრიებით (ბოლოთრია ურმისმაგვარია. ორ პატარა გორგოლაზე სდგას და ბოლო დასთრევს. მეტად ხელსაყრელია აღმართ დაღმართზე სამოგზაუროდ). დილის 9 საათზე შევუდექით სამების მთას, იგი მთა სიმაღლით 6409 ფუტი იყო და რავდენადაც ზევით ავდიოდით, იმდენად მშვენიერი და სასიამოვნო სანახაობა იშლებოდა ჩვენს თვალწინ. მთის მწვერვალიდან მოსჩანდა ძირს მთები და მინდვრები. ავედით მთაზე და კარავები დავსდგით. 14 აგვისტოს საღამოთი მთაზე აუარებელმა ხალხმა იწყო თავის მოყრა და და ფერდობზე დაბანაკება.

მოისმა ზურნის ხმა და გამოჩნდა 60 ცხენოსანი. ესენი იყვნენ დუშელები, მშვენივრად და კოხტად მოკაზმულნი. სახეზე ყველას აღტაცება და სიხარული ეტყობოდა და მათი გამომეტყველება ვაჟკაცობას ამტკიცებდა. წინ თამადა მოუძღოდათ, შემდეგ ერთი ტანად მოსული და დარბაისელი მხედარი ჰაერში ბაირაღს მოაფრიალებდა, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ორი ხმალ ამოღებული ცხენოსანი მოსდევდა. შემდეგ კი დარაზმულნი ცხენოსანნი მწყობრად ზურნის ხმაზე მათ უკან ცხენ და ცხენ მოსდევდნენ.

მათ შემდეგ გამოჩნდნენ ახალგორელები, აგრეგე კოხტად დარაზმულნი და ამავე წესით მომდინარენი.

მოვიდნენ ანანურელებიც, მაგრამ რადგან რიცხვით ნაკლებნი იყვნენ დუშელებს შეუერთდნენ.

ღამე ხალხმა მხიარულად ათია. იქ ზურნა უკრავდა, აქ მრავალჟამიერს მღეროდნენ, იყო სიცილი, დარის დაკვრა და ცეკვა.

მეორე დღეს, 15 აგვისტოს დილით ყველაფერი შესწყდა. ხალხი ეკლესიისკენ გაემართა. ორმავე დროშამ (ახალგორელებისამ და დუშელებისამ) მღვდელს პარაკლისი გადაახდევინა. წირვის შემდეგ ეკლესიის გალავანშივე განახლდა ცეკვა და მხიარულობა. (ცეკვის შემდეგ ყველა დაბლა ფერდობისაკენ დაეშვა. აქ მოზრდილი მოედანია. აქ უნდა მომხდარიყო შეჯიბრება და ჯირითი.

ვიდრე ჯირითს დაიწყებდნენ, ორი მოწინააღმდეგე მხარე ერთმანეთს მიესალმა. ადამიანს აღტაცებაში მოიყვანდა ორივე მხრის ზრდილობით შეხვედრა და მოძრაობის დროს წესის დაცვა.

შემდეგ ორმავე მხარემ ცალ-ცალკე მოიყარა თავი თავად კოლა ერისთავის კარავის წინ და პატივი სცა, როგორც თვით ერისთავს, ისე მის სტუმრებს.

უნდა დაწყებულიყო ჯირითი. ჯირითს დუშელებმა. გაჭენებულ ცხენზე ხტებოდნენ დაბლა ისევ ახტებოდნენ. მიწიდან ქუდს, ქაღალდს, საზამთროს იღებდნენ, თოფებს ისროდნენ და სხვა.

ჯირითობა დუშელებისა დასრულდა და გაიმართა მათივე ლეკური.

დუშელების შემდეგ ახალგორელებმა იჯირითეს.

ყველა ეს ფალავანთა ჰიდაობით დასრულდა.

ჩვენთან ერთად იყო ივანიცკის სინემატოგრაფის ფირმის წარმომადგენელი მღებროვი, რომელმაც ყველა შესანიშნავი მოძრაობა თუ ჯირითი აპარატით გადაიღო. იმ პირობით რომ ეს ერთი წყება ფირფიტებისა საისტორიო საზოგადოებას გარდასცეს. სურათებს მოკლე ხანში ქართულ საზაფხულო თეატრში უჩვენებენ.

ამ დღისთვის ჟური იყო დანიშნული რათა გამოეკვლიათ, ვინ იყო უკეთესად მოკეკვავე, მოჯირითე და ვის რგებოდა საჩუქარი. ჟიურიში იყვნენ: „ზაკ. რეჩის“ რედაქტორი პართენ გოთუა, ვექილი ჰიჰიკო გელოვანი, თ-დ ლევან ჩიქაზიშვილი, ჩვენი მგოსანი კ. მაყაშვილი, მსახიობი ვ. შალიკაშვილი და მე, ამ სტრიქონების დამწერი.

მოვიწვიეთ აგრედვე ორისვე მხრის თამადები: დუშელებიდან სვიმონ ჰიაბრიშვილი, ხოლო ახალგორელებიდან ვასილ იაკორის ძე მზარეულიშვილი.

თათბირის შემდეგ ჯილდო მიეცათ:

1) **ვერცხლის აზარფეშა** დუშელების დროშას, ვინაიდგან ჩაცმულობით, მოწყობილობით, წესრიგით, სიდარბაისლით და მამაცობით მისი წევრები საუკეთესოდ იქმნენ ცნობილნი.

2) **ვერცხლის ხანჯალი** ახალგორელებს ჯირითში გამარჯვებისთვის.

3) **მეორე ვერცხლის ხანჯალი** ერგოთ სამს დუშელების საუკეთესო მოლეკურეს: ვასო კობიაშვილს, გიგლო ბახუტაშვილს და დუშელებისავე წევრს ს. კობელ ოსს ჯახაშვილს. ამ სამმა მოლეკურემ ხანჯალი თანახმად ერთმანეთისა დუშელების დროშის გასაძლიერებლად და სხვა დროისთვის უფრო მკვიდრად წრის მოსაწყობად, ვითა სახსოვარი, დუშელების დროშას გარდასცა.

4) **პირველი ვერცხლის ნიშანი.** (ლირა) ლეკურში მიიღო გიორგი ოსეფოვმა (ახალგორელმა)

5. მეორე ვერცხლის ნიშანი: ჯირითობისთვის გოგლა ყარანგოზიშვილმა (დუშელმა) მიიღო.

6) მესამე ვერცხლის ნიშანი: ჯირითისთვის მიიღო სოლომონ ამირუმოვმა (ახალგორელმა)

7) **ერთი თუმანი** ფულად სამმა საუკეთესო მოჭიდავემ მიიღო: ვასო რატიშვილმა, ალუშა ზაალიშვილმა და დრიგინა ჯიქიძემ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ახალგორელებმა გარდმოგვცეს, ახალგორის დროშას ორგანიზაციის მოსაწყობად და მუშაობის ანუ სპორტის უკეთესად მოსაგვარებლად თანხად ჰქონიათ 3,000 მ. კარგი იქმნებოდა რომ ქართლის და სრულიად საქართველოს სხვა კუთხეებიც ახალგორელებს მიჰბაძავდნენ და თვითონაც დროშისთვის თანხას დაიარსებებდნენ, კარგი იქმნება თავისუფალ დროს მიჰყონ ხელი და შეისწავლონ ვარჯისობა, ჯირითობა ცეკვა და საერთოდ ჯანის აღმაღორძინებელი საშუალება, ვინაიდან ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიც იცოცხლებს.

დასასრულ დიდი მადლობის ღირსია თავადი კოლა ერისთავი, რომელმაც ამ საქმის თაოსნობა იკისრა და დღეობას საინტერესო ხასიათი მისცა.

ა. შანშიაშვილი.

ნაფიქრები და განცდილი მოგზაურობის დროს.

(შემდეგი.*)

სწორედ შაოდი რვა საათი იქმნებოდა, რომ მივადექით ბოსფორს და შევედით ბოსფორის სრუტეში. მთელი ღამე არ დამიძინია იმის მოლოდინით, რომ ბოსფორს ვნახავ მეთქი ხვალ დილას. ორის მხრით მაინტერესებდა ბოსფორი ერთი თავისთავად, ერთიც შესადარებლად. ამ მგზავრობის დროს თუ რამე ტურისტული გამომერევა სწორედ იმიტომ, რომ მინდა შევადარო ევროპის ცნობილი შვენიერი ყურეები ჩემს ქვეყანას. ვნახო მართლა არის კიდევ სადმე უმშვენიერესი კუთხე თუ არა. მართალი იყო თუ არა ის პოეტი, რომელმაც სთქვა „სხვა საქართველო სად არის რომელი კუთხე ქვეყნისაო“.

(აქ რასაკვირველია ბუნებრივი სიმშვენიერე მაქვს სახეში), თუ ის პოეტი უფრო მტკიცე ნიადაგზედა სდგას, რომელმაც სთქვა,

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო“

შენ კარგად იცი, რომ პირველი ლექსი გრ. ორბელიანს ეკუთვნის მეორე კი რ. ერისთავს. ხო და იმის გამოცდა მინდოდა, გრ. ორბელიანი მართალი იყო და საქართველოს, როგორც მშვენიერს კუთხეს ქვეყნისას, აქვს განსაკუთრებული უფლება ყურადღებისა და თაყვანის ცემისა, როგორც საოცნებო მხარეს ტურფასა და კეკლუცს, თუ არა? თუ კი ღმერთმა კარგი მოგცეს, თუ არა და რ. ერისთავის ლექსი ღრმა და საფუძვლიანის აზრის გამომხატველია. რაც უნდა იყოს ჩემი სამშობლო, ის მირჩევნია სხვა კუთხესაო „არ გავცვლი“-ო და სხვ. უნდა მართალი გითხრა, ბოსფორმა წარმტაცი შთაბეჭდილება გამოიწვია ჩემში. უმშვენიერესი რამ ბუნებაა, სწორედ. წარმოიდგინე, თუ ოდესმე გიმგზავრია რამოდენიმე ვერსი ყვირილის ხეობისა იქ სადაც ჭიათურის რკინის გზის შტო გადის, ის ადგილები რომელიც მომწყვდეულია სად. ბოსლევსა და სად. სალიეთს შორის და შუაში სრუტე, თავისებური პატარა ზღვა, რომელზედაც უშველებელი გემები დადიან ეს ზღვა შავიზღვის ფერის არის, მაგრამ ბევრად უფრო ნაზი, რაღაც ღია ზურმუხტის ფერი. აქეთ იქით ნაპირზე გაშენებულია კონსტანტინოპოლი ანა და სტამბოლი და მისი მიდამოები. ნაპირები საოცრად წააგავს იმერეთის ზემოხსენებულ ბუნებას, ყოველნაირად... მაგრამ ეს სრუტე, ეს საოცარი მშვენიერი რამ!—სწორედ წარმტაცია და მომხიბვლელია. ბუნებას სწორედ თავისი უდიადესი ხელოვნება აქ გამოუჩენია და საოცარი შემოქმედება დაუნახავებია ჩვენთვის... კი მაგრამ კაცს რაღა უქნი... კაცს... ადამიანს, აზიელ დესპოტსა და აზიელ მნოას? . ჰმ?! კაცს ყოველი თავისი ნიჭი იმაში გამოუჩენია, რომ განგებისაგან მინიჭებული ბუნება გაუფუჭებია, შეუმუსრავს, შეუგინებია და შეულახავს. მთელი თავისის ნიჭის, ადამიანობის ძალა და ღონე იმისთვის მოუხმარებია, რომ ეს მშვენიერება წაბილწოს და გაანძიროს. წარმოიდგინე ტურფა, მშვენივრი ასული ბებრის, უძლურის ჯაჯის ხელები. წარმოიდგინე რომ ეს საზიზღარი ქმნილება თავისის ხელებით სჯიჯ ნ ს ამ კეკლუცს სილამაზის ღმერთ და თავისი შეხებით სტანჯავს მას. წარუწყმედს ყოველივე ნაზს და სათუ ს, რასაც დაუბუდებია მისი მონაი ქეიფლის სულში, ეს კიდევ არაფერ , უძლურება იმაშია, რომ სალახანა ქაჯი მარტო ტურფა არსებას კი არა სტანჯავს, თვით ვერავითარ კმაყოფილებას ვერა გრძნობს, ვინაიდან ქაჯს ყოველივე ძალა და ღონე გამოფიტული აქვს. მის წარსულ ტალახიან ცხოვრებას დაუსვამს წარსული დადი მისთვის.

აი, ბოსფორი მისი დღეინდელ ბატონების ხელში... მართალია ცწრაკლიტულში დამწყვდეულს უცხო ასულს ჰარამხანისას მრავალი კოხტა და ძლიერი მოტრფიალე ჰყავს, მაგრამ ბალა ის არის, რომ ეს უცნაური მიჯნურნი ერთმანერთს ეჭიშპებიან და ავის ძალის როლსა თამაშობენ; არც თვითონ სარგებლობენ, არც სხვას ასარგებლებენ.

აი, ბოსფორი და მისი დღევანდელი მდგომარეობა... ან კი რა რიგად შეუძლიან ოსმალეთს მოუაროს ასეთს საოცნებო ქმნილებას. ეს სახელმწიფო ხომ ცნობილია ყოველთვის, როგორც დამამხობელი და განაცარმტვეველი ყოველივე დიდებულისა და მშვენიერისა. ოსმალეთი და მასთან განუყრელი სპარსეთი ცეცხლითა და მახვილით სპობდა ყოველივე ადამიანურსა და ღვთაებრივს, ხელოვნებას, კულტურას და ამეფებდა ბინძურ მონობას, თავაშვებულ დესპტიზმს სიბნელესა და უბედურებას. სხვაგან რად მივდავართ მაგალითების საძებნელად. ვინ დაამხო უმშვენიერესი მხარე ქვეყნისა (მე ჯერ კიდევ იმ აზრისა ვარ ბოსფორს შემდეგაც), ვინ დაადუმა, ვინ დაუწყვიტა თითქმის საუკუნო რუსთველის ღვთივ-მშვენიერ ლირას სიმები? გინდა მაინც და მაინც სხვა მაგალითი? აი ბატონო, ავიღებ აეგერ „ბედეკერს,“ რომელიც აქჯიბეში მიძევს, გადავშლი პირველსავე ადგილს, რომელსაც მე ვკითხულობ. ეს ადგილი შეეხება აკროპოლს ძველი ათონის შესანიშნავ ნაშთს. აი „ბედეკერი რას გვეუბნება: მე-XV საუკუნეში („პართენონი“ უძვირფასესი და უდიდებულესი შენობა აკროპოლისა) ოსმალებმა გადააკეთეს მეჩითად. მე-XVII საუკუნეში პართენონი თოფხანად გადააკეთეს და იქ თოფისწამალს ინახავდნენ, ხოლო ერეხტეიონი“ მეორე უმშვენიერესი ტაძარი ამ ადგილისა ჰარამხანად გადააკეთეს. ვენეციელებთან ომის დროს XVII საუკუნეში თოფხანას მოხვდა ზარბაზნის ყუმბარა. ღვთაებრივი ქმნილება, ნაყოფი უდიადესის კულტურისა დაიმტვრა. გნებავს კიდევ. აი ვენეცია, რომლის შესახებაც „მედეკერი“[1]) ცნობებს მაძლევს. ვენეციას დიდება და ძლიერება დაამხო ოსმალეთმა XVII საუკუნეშიო. შორს რაღას მივდივართ. არ გინახავს? ხომ გაგიგონია რა უყვეს აია სოფიას. წარჩინებული ხელოვნება სულ მოშალეს და სადაც ყეღარაფერი მოუხერხეს წვანე ოქროს ვარაყიანი ფარი მიატყაპეს, რომ მოზაიკა და ფრესკები დაეფარათ და დღესაც გეიდები გაჩვენებენ მშვენიერათ ანგელოზების ფრთების ნაკვეცი ფარის ქვეშ ამოფარებულს.

სპარსეთმა რაღა უკეთესი ჰქნა! იმან პირველმა დაამხო საბერძნეთის ძლიერება. ბარბაროსი აღიმართა კულტურისა და მშვენიერების წინააღმდეგ და ფეხ ქვეშ გათელა იგი მერე?

შენ, როგორც მომხრე „რეალურის“ პოლიტიკისა, იტყვი და საბუთიც გექნება სთქვა, რომ ცხოვრება ბრძოლა არის, რომ ერთი ერი ყოველთვის მეორეს ასე ეჭცეოდაო და სხვა კი, ჩემო ბატონო! მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ ვსთქვათ გაქვს ნება: დაამხო და ააქციო ერი, გაანადგურო მისი კულტურა, მოსპო მისი ხელოვნება. ვსთქვათ ყოველივე ამისი ნება გაქვს. შენ რაღა გააკეთე, რაღა შეჰმატე კაცობრობას, ადამიანობას, ღვთაებას, ღმერთს? არაფერი. მაშ, არც საჭირო ხარ არც განგებისთვის, არც ბუნებისთვის, არც ადამიანობისთვის. ოსმალეთმა და სპარსეთმა დაამხო და შემუსრა დიდებული კულტურა და თვით სანაცვლო კი არაფერი მოუტანია, თვითაც კი ჩამხჩვალია სიბინძურეში და უბედურობაში. ასეთი დიდებული ბუნება ხელში ჩაუგდიათ და წაუბილწავსთ, გაუბინძურებიათ და... ერთი ნათელი წერტილი კი არ არის მათს ცხოვრებაში.

არავითარი სიბოროტე არც სპარსელებისა და არც ოსმალების მიმართ არა მაქვს ყოველ კარგს უსურვებ, ბოროტის წილ ყოველივე წარმატება მსურს. მაგრამ ცხოვრებასა აქვს უსათუოდ თავისი კანონი, თავისი რჯული, რომლის დარდვევა ტყუილადა და უნაყოფოდ არავის ჩაუვლის. ჩვენ ყველა აღტაცებით მივეგებეთ ოსმალეთისა და სპარსეთის განახლებას... მაგრამ ვაი თუ ეს განახლება მაინცა და მაინც არც ისე ადვილი იქმნეს და არც ისე ახლო იყოს. ოსმალეთში ჯარმა მოახდინა ცვლილება. და დღეს იგივე ჯარი რესტავრაციას აპირებს ძველი რეჟიმისას... ანკი რა საფიქრალია რამე დიდებული ტ საფუძვლიანი ჩაიდინოს იმ ჯარმა, რომელიც მიჩვეულია უიარაღო ხალხის, ჩვილი ბავშვებისა და ლოგინად მწოლარე დედაკაცის ხოცვა-ჟლეტას.

ჩემო კარგო! ეს მოგზაურობა მრავალის მხრით საკეთილო გამოდგა ჩემთვის. მრავალმა ჩემმა თეორიულმა რწმენამ ხორცი შეისხა და ჩემთვის ათჯერ უფრო თვალსაჩინო შეიქმნა.

მაგალითად სტამბოლმა დამარწმუნა იმ უეჭველ ისტორიულ კანონში, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სცდილობს ყოველივე შთანთქას, ყოველივე კულტურა მოსპოს, რომელიც ვითა უცნაური გრიგალი მიდის ისტორიის მოედანზე და ფეხ ქვეშ ჰსრესს სხვა ხალხს, სხვა სახელმწიფოს, უაზროდ, უგუნურად, რომელსაც თვითონ არაფრით თავი არ გამოუჩენია გარდა ამ ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც არღვევს ადამიანთა კულტურას და სიმშვენიერეს და არა ჰქმნის არაფერს ცივილიზაციისა და კულტურისათვის—ასეთი სახელმწიფო ვერ იხეირებს თავის დღეში, იგი ადრე იქნები თუ გვიან სამარცხვინოდ, დაგლეჯაკდება, დაქვეითდება და ბოლოს ან მოისპობა ან „სიცოცხლე ნაზარი“ ექმნება.

[1]) ბედეკერი მოგვეხსენება უბრალო გზის მაჩვენებელია, არც მეცნიერული შრომაა და არც პუბლიცისტური.

აი ჩემი შთაბეჭდილება, აი ჩემ „განცდილი“ ჩემის მოგზაურობი პირველ სადგურზე. ვნახოთ რა ი ნება შეეხ[illegible]

ალეკსანდრე ალბაზიძე.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

(შემდეგი *)

წერილი მერვე.

სამშაბათს, 24 ივლისს, შვიდ საათზე შევუდექით სამზადისს ნიკორწმინდისაკენ გასამგზავრებლად. მგოსანმაც თავის დროზე გაიღვიძა, კარგად გრძნობდა თავს. გრილოდა. დავლეთ ჩაი, მეეტლეებიც მოვიდნენ და ... საათზე გავემგზავრეთ; მალე გავედით „ხიდის-კარში“, სადაც მდ. რიონზე ხიდის ორივე თავში უზარმაზარ კლდეები ერთი-მეორეს წვეროებიან უახლოვდებიან, თითქოს მოგვიხრობენ წარსულ დროების ამბებზე. ამ კლდეებზე ორივე მხრივ მიშენებულია როსტომ ერისთავის ციხეები, რომლის ნანგრევებში შენიშნავენ დარჩენილ ბოძებს, რაზედაც დაკიდებული ყოფილა ჭიშკარი ამ ვიწრო ხეობის ასაკეტად მტრების შემოსევის დროს; აი ამის გამო დარქმევია ამ ადგილს „ხიდის კარი“. ა გადის გზა და სოფ. ამბროლაურამდე მისდევს რიონის მარცხენა ნაპირას. მერმე კი მარცხნივ უხვევს, გაივლის ნიკორწმინდაში, შაორის ჭალებში, გადავა „ნაქერალას“ ქედზე და ჩადის ტყიბულაში.

„ხიდის-კარი“ ციხის ნანგრევებით გადაიღეს სინემატოგრაფ ფოტოგრაფით.

ჩავედით ამბროლაურში, მგოსანს დახვდა აქაური ინტელიგენცია და გლეხკაცობა. შევჩერდით ათიოდე წუთს, დავარიგეთ წიგნაკები და გავსწიეთ. რადგანაც აღმართი გვქონდა ასავლელი, ნელ-ნელა მივდიოდით; მხლებლები ხშირად, სადაც ცუდ გზას შევნიშნავდით, ეტლიდან ვჯდებოდით და ფეხით მივდიოდით.

მიუახლოვდით სოფ. ხოტევს, გზაში ქალები და ბავშვები გვიხვდებოდნენ, რომელთაც ვესროდით წიგნაკებს; გავიარეთ ხოტევის დიდებულ ციხესთან და ახლად შეკეთებულ ეკლესიასთან. მშვენიერი სურათი გადაგვეშალა თვალ-წინ; შევჩერდით მოსახლის ჭიკართინ, ცივი წყარო დავლიეთ. მხატვრებმა გადაიღეს **„ხოტევის“** ციხე და ეკლესია. მეოთხედ საათის შემდეგ განვაგრძეთ გზა და შეუდექით ს. ჭელიაღელეს აღმართს; თან და თან მაღლა მივდიოდით და თვალ-წარმტაცი სურათები გვეშლებოდა გადმოხედვისასა. 1300 აღლის სიმაღლიდან ვუყურებდით „ჭელიაღელის“ ტბას, სიმინდის მშვენიერი ყანებს, ვენახებს და გარშემო გორაკებზე გაშენებულ ლამაზ სახლებს. გამაგრილებელი სიო უბერავდა, თითქმის სიცივეც ვიგრძენით ნიკორწმინდაში ასვლისას; ნაშუადღევის სამ საათზე შევადექით ნიკორწმინდის ტაძრის გალავანს, გადმოვედით ეტლებიდან, გადავიარეთ ტაძრის ეზო და ჩავედით მასპინძლის დავით კანდელაკის ეზოში, სადაც გვაცდიდა საზოგადოება და ქართული სუფრა ვეებერთელა ცაცხვის ხის ქვეშ, ქვემო-რაჭის კომიტეტის განკარგულებით. მისალმების და დასვენების შემდეგ მიგვიწვიეს სუფრაზე; მოვუჯექით სუფრას 140-მდე სული, თამადობა მიულოცეს მღვდ. ვლ. ფოფხაძეს, რომელმაც დალოცვის შემდეგ ადღეგრძელა მგოსანი და მიჰმართა **შემდეგი სიტყვით:**

„ჩვენი სამშობლოს დიდებავ და სიამაყევ, მგოსანო აკაკი! ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვით გამცნოთ ის გრძნობა, რომელიც თქვენმა მობრძანებამ ჩვენში აღძრა: დღიდან თავის გაჩენისა რაჭას არა ჰლირსებია თქვენისთანა სტუმარს. დაფასება თქვენი მნიშვნელობისა და ღვაწლისა მე არ ძალმიძს და აქ არც დრო და არც ადგილი არის; ვისაც კი ქართული ანბანი დაუძლევია, ყველამ იცის, როგორი სამსახური მიგიძღვის ქართული ერისადმი. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მთელმა საქართველომ დიდებულად იღღესასწაულა თქვენი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი, რითაც მან ცხადად დამტკიცა, რომ თქვენს შრომასა და ღვაწლს ნახევარი საუკუნის განმავლობაში სასურველი ნაყოფი მოუტანია; დაგიმტკიცათ, რომ იგი კიდევაც გამოფიზლებულია და ერთი გრძნობით და აზრით გამსჭვალულია. იუბილეს შემდეგ ჩვენი სამშობლოს კუთხეებმა მიგიწვია და შესაფერისი პატივი გეცათ, რაჭას ყველაზე ბოლოს ხვდა წილად ბედნიერება თქვენი მოწვევისა; მართალია ჩვენი დახვედრა და დღესასწაული გარეგნულად დიდებუ-

* იხ. „სახ. გაზ.“ № 679

ლი და ბრწყინვალე არ არის, მაგრამ-სამაგიეროდ გულწრფელია და რაც შეძლება გვაქვს ვცდილობთ გამოვხატოთ თქვენდამი უზომო სიყვარულში და დაფასებაში. ვუსურვებთ რაჯას თქვენისთანა საყვარელი სტუმრების არა იშვიათად წვევას, რათა ასეთი გმირების შრომისა და ღვაწლის ნაყოფით მალე და დროზე ღირსებოდეს თავისი სატრფო ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან განთავისუფლებას და მასთან ერთად ზნეობით, გონებით და ქონებით წინსვლასა—თქვენ კი, ძვირფასო მგოსანო, გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, რათა თქვენის სიმთა ჟღერით კიდევ და კიდევ დიდხანს დამტკბარიყოს ქართველი ერი“.

თამადას სიტყვას მოჰყვა ტაში და „მრავალჟამიერ“. წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო, ეზოში მგოსნის შესაქცევად ფერხული ჩაბეს. სადილმა მხიარულად ჩაიარა, საღამოს მგოსანს ჩაი მიართვეს და მოასვენეს; ამ დროს იმისი ოთახის კარებს მიადგნენ თეთრად ჩაცმული და თეთრი ფრთებით მორთული „ანგელოზი“, ქალიშვილები და უმღერეს ტკბილის ხმით „ნანინა“, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია.

მეორე დილას, ოთხშაბათს, 25 ივლისს, დავათვალიერეთ დიდებულ **ნიკორწმინდის ტაძარი**. მეთუთხმეტე საუკუნეში აშენებული. ადგილობრივმა მღვდელმა მგოსანს უთხრა მისასალმებელი სიტყვა და ამთხვია ჯვარს. ტაძარი გადაიღეს სინემატოგრაფით. ცხრა საათზე გავემგზავრეთ „შაორის“ ჯალების დასათვალიერებლად; თან გაგვყენენ რამოდენიმე ცხენოსნები სანოვაგით, რადგანაც **„ხარის თვალას“** ტბასთან უნდა გვესადილნა. დავათვალიერეთ მდ. შაორის ის ადგილები, სადაც წყალი იკარგება უფსკრულში და მეხუთე ვერსზე, **ჭელიშის მონასტერში**, გადმოქუხს კლდის ძირიდან გადაღებულ იქნა ამის სურათნიც. შუადღისას მივედით ტბებთან და დავბინავდით ნაპირზე ჩრდილში, დავისვენეთ, დავათვალიერეთ ტბები **„ხარის თვალა“**, რომელსაც თუმცა ტბას ეძახიან, მაგრამ ნამდვილად კი ვეებერთელა წყაროა და **„ხროხის თვალა“**, რომელიც ნამდვილი ტბაა, დამდგარია, გასავალი არა აქვს და სასმელად არ ვარგა; გადავიღეთ ფოტოგრაფიული სურათები „ხარის თვალაზე“, ვიგრილეთ გული ცივი წყლით და ხის ქვეშ მწვანეზე გაშლილ სუფრას მოვუსხედით. ამასობაში მგოსანს მოართვეს მებადურებმა იქვე დაჭერილი კალმახები, რომლითაც მეტად ისიამოვნა. სადილზე გრძნობიერი სიტყვებით ადღეგრძელეს აკაკი მღ. ლ. კიკვიძემ, ექიმმა შამშე ლეჟავამ (რომელიც რაჭის მაზრაში ყველგან დაგვყვებოდა მოგზაურებს თავისი ცხენით) და სხვამ... სადღეგრძელოს მოჰყვა ქართული ლხინი და სიმღერები. სადილის გათავებისას სავსე ჭიქით ხელში მორიდებით წარსდგა მგოსნის წინაშე რაჭველი ახალგაზდა აფიცერი **სიმ. ენუქიძე**, რომელიც რუსეთში მსახურებს, და დასასვენებლად ჩამოსული იყო თავის ქვეყანაში, და მიჰმართა აკაკის შემდეგი სიტყვით: „ძვირფასო მგოსანო, როგორც ქართველი, სხვასთან ერთად ვხარობ და ვამაყობ თქვენით და თქვენთან ერთად სუფრაზე ჯდომით. თქვენი გულის სიღრმიდან ამოკვნესილმა ოქროს სიტყვებმა და ნაკვესმა მოკაშკაშე ნაპერწკლებმა დიდი ხანია იქუხეს და სტყორცნეს თავისი მოელვარე სხივები ჩვენს მიყრუებულ და მივარდნილ რაჭას; ამ ბედნიერებას უნდა მიუმატოთ ის ბედნიერებას, რომ რაჭველებმა თვალით იხილეს ის დაუშრეტელი ლამპარი, ის შზე, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ანათებდა და დღესაც ანათებს და ათბობს ბნელი ბურუსით მოცულ სქართველოს. დასახასიათებლად თქვენი ღვაწლისა და გმირობისა მოვიყვან ისევ თქვენ ლექსს:

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს“ ... ს. ხ.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შოთა რუსთაველის შემდეგ ჩვენში წერა-კითხვა და მწერლობა დიდს გასაჭირს განიცდიდა; სწორედ მაშინ, როდესაც სასოწარკვეთილობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, ბედმა გაუღიმა დაჩაგრულ საქართველოს და მოავლინეთ თქვენ უზენაესი ნიჭით შემკული ადამიანი, რომელმაც ჩვენი ეროვნული განძი—ენა, აღადგინეთ და დაიცავით მით, რომ სულ სიმართლეს მსახურებდით. თქვენი გული არ შებოჭილა, მარჯვენა ხელში გეჭირათ ხვარასნის რკინის ხანჯალი, რომელიც კალმათ აქციეთ და მტრის სისხლიდან შედგენილ მელანში აწყეთ. ის ერი, რომელმაც წარმოშობა აკაკი, არ აღიგვება დედამიწის პირიდან, ვიმედოვნებთ, მომავალი ჩვენია და თქვენ, მგოსანო, დღეგრძელი სიცოცხლე მოგანიჭოს ღმერთმა საქართველოს საკეთილდღეოდ და მისი შვილების სასიქადულოდ და საამაყოდ“.

აფიცერ ენუქიძის სიტყვას მხურვალე ტაშის-ცემა მოჰყვა; მგოსანმაც მიიხმო ახლოს, მოეხვია და გადაკოცნა. საღამოს ნასიამოვნები დავბრუნდით ს. ნიკორწმინდაში მასპინძლების დავ. კანდელაკის და ალ. სამოკვასოვის სახლებში. ალ. სამოკვასოვი გაქართველებული რუსია, ოჯახიც ქართული აქვს; ოდესმე იმისი ბაბუა და მამა ჩამოსულან ნიკორწმინდაში და ბინა აუჩენიათ, დღეს კი ალექსანდრე ცხოვრობს, ადგილ-მამული შეუძენია და ოჯახიც რაჭულ გემოზე მოუწყვია. მასპინძლებმა რაც შეიძლებოდა დიდი პატივი გვცეს.

(შემდეგი იქნება)

ლადო ბზვანელი.

კურთხევა სიღნაღის მილის წყლისა.

ოთხშაბათს, 16 აგვისტოს 1912 წ., ადგილობრივ მთავრობის და მრავალი საზოგადოების თანადასწრებით აკურთხეს სიღნაღის მილის წყალი. ქალაქის მოედანი მორთული იყო ბაირაღებით და ყვავილებით. ქუჩები გაცხოველებული იყო მოძრაობით: ყოველ მხრიდან იკრიფებოდნენ მოქალაქენი და სტუმრები გაგარემო სოფლებიდან. ჯერ მართლმადიდებელთა სამღვდელოებამ აკურთხა, მერე სომხისამ. კურთხევის შემდეგ მიულოცეს ხალხს და სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის თავმა ვ. ი. ენაკოლოფოვმა და ა. ი. ნატროშვილმა. შემდეგ აუშვეს შაღრევანი ქალაქის მოედანზე. ხალხმა მადლობა გამოუცხადა ქალაქის თავსა და წყლის გამომყვანს ტეხნიკს ბ. სალმანს ამ მშვენიერი თვისების წყლის გამოყვანისათვის.

საპატიო წევრნი მიწვეულ იქმნენ სადილზე ქალაქის მიერ ქალაქის საკრებულო დარბაზში. აქ, როდესაც გუბერნატორის სადღეგრძელო წარმოსთქვეს, ქალაქის თავმა და საზოგადოებამ გაუგზავნა ტელეგრამა გუბერნატორს და მადლობა გამოუცხადა იმ გულითადის მზრუნველობისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა ქალაქს და კეთილად დააბოლოვა მილით წყლის გაყვანის საქმე სიღნაღში.

საზოგნის მოლოდინში.

ყოველივე ჩვენ კულტურულ დაწესებულებებს, მის ზრდა—განვითარებას ყველა შეგნებული ქართველი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს. გული უკვდება როცა ხედავს რომ რომელიმე უკვე დაარსებული საქმე იშლება, სკანება.

გული ჩამწყდა როს გავიგე, რომ ქუთაისში დასი ვერ სდგება მომავალ სეზონისათვის. დარწმუნებული ვარ რომ ამ სამწუხარო მოვლენას ბევრი საპატიო მიზეზები ექნება.

ჩვენს ქალაქებში არსებობს დრამატიული წრეები და ესენი უძღვებიან თეატრის საქმეს. ისტორიის წინაშე მათ დიდი ღვაწლი უძღვით, ამიტომ მათს მოქმედებას ყოველი ქართველი თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, უნდა ძალღონის მიხედვით ემსახურებოდეს ამ ერთ-ერთ დაწესებულებას, საიდგანაც ქართული ენა გვეწმის, ვხედავთ ქართულ ცხოვრებას, მის კულტურას, აწმყოს და წარსულს. ჩვენი მოვალეობაა ამ საქმეში სამოღვაწოდ მოვიწვიოთ იმისთანა პირნი, ვინც ზავარაკად შეეწირება ხელოვნების ამ დიდებულ ტაძარს. ნივთს გარდა საჭიროა მათ ჰქონდეთ მხატვრული არტისტიული სწავლა და სულითაც არტისტნი—მხატვარნი იყვნენ. მათ მთელი ნიჭი, ცოდნა, მორჩილება, (ამ უკანასკნელში კი ჩვენი მსახიობნი ძალიან სუსტობენ,) მიიტანონ თეატრის ამბიონზე და გულმოდგინე სიყვარულით ემსახურონ თავის წმინდათა წმინდას. ჩვენი მოვალეობაა დრამატიულ საზოგადოებას გავახსენოთ, რომ, ნაკლები ყურადღება მიაქციოს შემოსავლიან პიესების დადგმას, და მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს ორიგინალურ პიესების დადგმას. იგი უნდა ეცადოს ჩვენს დრამატურგიის აყვაავებას და, იყოს ხელმძღვანელი ჩვენი მწერლებისა, რომლებმაც, როგორც იბსენი ამბობს: უნდა თვითონვე იხილონ ნაკლი თავის თხუზულებისა, ისწავლონ და შემდეგ ეს ნაკლი აიცდინონ: ამისათვის კი საჭიროა თავისი ნაკლი შეიგნონ პიესის დადგმით მისი მხატვრულად გადმოცემულ თამაშით. სხვაფრივ ჩვენი დრამატურგები წინ ვერ წავლენ და ვერც აყვავდება ჩვენი სცენა და დრამატურგია. საჭიროა სრული უფლება მიეცეს მოწვეულ რეჟისორეს. საგანგებო კომისიასთან ერთად თვით აირჩიონ პიესები, ხოლო პიესის დასადგმელ ხარჯებს არ მოერიდნენ, რეპერტუარის შედგენაში დრამატიულმა საზოგადოებამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მისი მოვალეობაა შემუშავებული რეპერტუარი განახორციელოს. რეჟისორმა სასტიკად უნდა ადევნოს თვალ-ყური რომ პიესებში არც ერთი სიტყვა არ იყოს შეცვლილი. ჩვენმა მსახიობებმა ხშირად იციან სიტყვის შეცვლა, ხშირად მთელ ფრაზებსაც კი.... რაკი მიღებულია ესა თუ ის თარგმანი, ორიგინალი, როგორც რეჟისორი ისე მსახიობნი მოვალენი არიან დაემორჩილონ იმას რაც სათამაშოდ მირთმეული აქვთ. და ყოველ შემთხვევაში ავტორის დაუკითხავად არ შეასწორონ. ვისაც არა სურს დაემორჩილოს და მიღებულ პიესის მოთხოვნილებას და რეჟისორის ხელმძღვანელობას, იგი დასში არ უნდა შევიდეს. დაანახვეთ საზოკადოებას ის ნაწარმოები, რომელიც ავტორმა მის სამსჯავროდ წარმოადგინა. პიესისღირსება-ნაკლიც მაშინ გამოჩნდება ნათლად.

ჩვენს მსახიობებს რომ შეგნებული ჰქონდეთ თავისი წმინდა მოვალება დიდებულ ეროვნულ საქმის წინაშე, უფრო მორჩილად ქედს მოიხრიდნენ და ქუთაისი წელს უთეატროდ არ დარჩებოდა.

დრამატიული საზოგადოება კი რასაკვირველია, მოვალეა უზრუნველ-ჰყოს სცენის მოღვაწენი და არც ავტორებიც დასტოვოს უჰონორაროდ; გამგეობამ ყოველი ძალღონე უნდა იხმაროს, რომ პიესები მხატვრულად დაიდგას.

საჭიროა აგრედვე დასს ჰყავდეს საკუთარი გუნდი მომღერლებისა, აგრედვე მოცეკვავენი, რომ ანსაბლს ხელი შეუწყოს. ეს დიდად და დიდად საჭიროა. დრამატიულ საზოგადოებაში როგორც ისმის, ის აზრიც მომწიფდა, რომ ტფილისის ქართული სცენა ახლო მომავალში უეჭველად უნდა გარდაიქცეს ქართულ-სამხატვრო თეატრად, ქართულ ცოცხალ-მხატვრულ ხელოვნების აკადემიად.

ვუსურვოთ ამ გზით სიარული.

გიორგი ფოცხოველი.

ქართული ენის

სახელნაცვალი ძირები

ვ ი და **ვ ე**.

სახელნაცვალი ძირი **ვი** საზოგადოდ ჰხატავს სახელ-ზმნის ისეთ გვარს, როცა მოქმედება თვითონ მოქმედისაკენ არის მიმართული, მაგ.: **ვიკეთებ სახლსა** ჰნიშნავს **ვაკეთებ სახლს ჩემთვის**. იტყვიან, მოქმედება უკუ მოიქცაო, ამიტომ ზმნის გვარიც მოქმედებით უკუ მოქცევითია.

ზოგჯერ კი იგივე სახელ-ნაცვალი ძირი თითქოს ჰკარგავდეს მოქმედების ხასიათს დაღებულობდეს მდგომარეობისას, მაგ.: **ვიყავ, ვიწერე, ვიდიდე** გვგონია აგრეთვე ისეთი ზმნები, რომელნიც ჰხატავენ მდგომარეობას, თავის თავად კი მოქმედნი არიან. ასე რომ ერთ შემთხვევაში ქვემდებარედ არის ნაცვალ-სახელები **მე, შენ, მან** (როცა გვარი მოქმედებით უკუმოქცევითია), მეორე შემთხვევაში **მე, შენ, ის, იგი,** (როცა გვარი მდგომარეობითია). მაგალითად, **იყო (გაიყო) მან**, **იყო ის, იწერა მან, იწერა ის, იდიდა მან** (სახელი), **იდიდა ის**. განსაკუთრებით მდგომარეობის ხასიათი ეძლევა ამ გვარს მრავლობითი რიცხვის უღვლილებაში, მაგალითად:

ვიყავნით, იყვნით, იყვნეს (ნ). **ვიწერენით, იწერენით, იწერნეს** (ნ). **ვიდიდენით, იდიდენით, იდიდნეს** (ნ).

ხოლო მათი მოქმედებით უკუმოქცევით გვარი იქმნებოდა

ვიყავით, იყავით, იყვეს, ვიწერეთ, იწერეთ, იწერეს, ვიდიდეთ, იდიდეთ, იდიდეს. უკანასკნელი ფორმების პირველი და მეორე პირი ისე, როგორც მხოლოობითი რიცხვისა (ვიყავ, იყავ. იყო, ვიწერე, იწერე, იწერა, ვიდიდე, იდიდე, იდიდა) იხმარება აგრედვე მდგომარეობითი გვარის აზრითაც, მაგრამ მესამე პირი **იყვეს, იწერეს, იდიდეს** არასოდეს ჰნიშნავს მდგომარეობას. პირიქით წმინდა შემოქმედებითია. მაგ. **უყვეს, უწერეს, უდიდეს** (მას, მათ, რამე). ამ ფორმებს კი არ გამოუვლიათ ევოლუცია, არამედ მათ, რომელთაც ჰქონდათ მდგომარეობითი გვარი და ძველებურად ითქმოდაიყვნეს, **იწერნეს, იდიდნეს**. აი ფორმების ს-ანი იქცა ნ-არად, რაიც მწერლობაში მეათე საუკუნითგანვე შემოვიდა და ქართლ-კახეთში დღესაც ცხოვლად ისმის. მაშასადამე იმერული ფორმები **გაიქცენ, შეითქვენ, წაიკიდენ, წაიჩხუბენ** და სხვა მრავალი წმინდა უკანონობაჯ, რაც განდევნილ უნდა იქმნეს მწერლობითგან. იმერულმა ს-ანი ნ-არად აქცია იქაც კი, სადაც ზმნა წმინდა შემოქმედებითი გვარის არის სახითაც, აზრითაც. ასე იტყვიან **წაიღენ** (წაიღეს), **თქვენ** (თქვეს), **იმღერენ** (იმღერეს) და სხვა. მართალი უნდა ითქვას, ამ მახინჯ ფორმებს იმერელი მწერლები არ დასდევენ, მაშინ როცა **გაიქცენ, შეითქვენ** და მათი მსგავსი დაუკანონებიათ. მხოლოდ საკვირველია, რომ თ-დი გრ. დიასამიძე, ქართლის შვილი, თავის „თემში“ სწერს **იყვენ,** რომელიც იგივეა, რაც იყვეს (ს=ნ). **იყვეს (უყვეს)** სხვაა, **იყვნეს** (აწ. იყვნენ) კიდევ სხვაა. მათ შუა დიდი მზღვარია აზრითაც, სახითაც.

სახელ ნაცვალი ძირი **ვე** მხოლოდ ვნებას ჰხატავს სახითაც, აზრითაც. ასე რომ მისი უღვლილება ექვემდებარება შეურყეველ დასაბამსა. მაგალითად ავიღოთ იგივე ზმნები და ვნებით გვარად დავაუღვლილოთ. იქმნება **ვეყავ, ვეყვენით** (ვეყავით), **ეყავ, ეყვენით** (ეყავით), **ეყო ეყვნეს** (ნ), **ვეწერე, ვეწერენით** (ვეწერეთ), **ეწერე, ეწერენით** (ეწერეთ), **ეწერა, ეწერნეს** (ნ), **ვედიდე, ვედიდენით** (ვედიდეთ), **ედიდე, ედიდენით** (ედიდეთ), **ედიდა, ედიდნეს** (ნ).

იმდენად ძლიერია სუფიქსი **ნი**, რომ ზოგჯერ შემოქმედებითი გვარის ზმნების უღვლილებაშიაც იხმარება, როცა დამატებითი სიტყვა მრავლობითი რიცხვის არის, მაგალითად **ალავსენით წყალნი ზღვისანი** (წ. ა. მოსესი, 22).

იმერეთში ხმარებული ფორმები **მიემხრენ, მიეგებენ, მიენდვენ, მიჰყვენ, გაეშურენ, ეკვეთენ, დაეშვენ, შეესიენ, დაეცენ, მოელოდენ, დაესახლენ, მიეტევენ, შეიყარენ**, რომელსაც სამწუაროდ დაჟინებით მხარს უჭერენ იქაური, არათუ უცოდინარი, არამედ მცოდინარი მწერლებიც, დაგმობილ უნდა იქმნეს. ზოგჯერ იმ მახინჯი ფორმების ხმარებით ქართულის მცოდნე სულ სხვა აზრს გამოიტანს, მაგალითად **გაეშურენ, ეკვეთენ, დაესახლენ** ნაზალიზაციონურად (ნ—არის დართვით) გამოთქმული ბრძანებითი სახეა მხოლოობითის რიცხვის მეორე პირისა. ასეთი წესით გამოთქმული ბრძანებითი სახე ზოგჯერ მოქმედებითი გვარის მზნებისთვისაც უხმარიათ, მაგალითად შოთა რუსთაველი ფარსადანს ათქმევინებს ტარიელისთვის, შენ აქა **ჰნახენ**, ნუ წახვალო.

მათი სამაგიერო სწორი ფორმები, რომელიც ძველადაც უხმარიათ, ეხლაც ხმარობენ ქართლ-კახეთში, არის **მიემხრნენ, მიეგებნენ, მიენდვნენ, მიჰყვნენ, გაეშურნენ, ეკვეთნენ, დაეშვნენ, შეესივნენ. დაეცნენ, მოელოდნენ, დაესახლნენ, მიეტევნენ, შეიყარნენ**, რომელთა კიდურინ-არის მაგიერ ძველ მწერლობაში ისმის ს-ანი.

ასე არის დღეს აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლება, კორტოხს იქით სხვანაირად იყვეს, მაგრამ როგორ გამოუცვალოთ ქართლ-კახეთის შვილს მეტყველების ორგანო? ვერ გამოუცვლით, რათგანაც როგორც ჩვენსას, ისე მის ძალ-ღონეს აღემატება ასეთი ეკსპერიმენტი. მაშასადამე ვინც ცდილობს იმ მახინჯი ფორმების გაბატონებას ქართულ მწერლობაში, ის ჰგმობს ერთობას ქართული კულტურის, ერთობას ქართული ენისას, რომელიც საქართველოს სამეფეთა და ხუთ მთავართა მიერ საუბედურო გამგეობის დროსაც ქართველთა ერის შემაერთებელი ფაქტორი იყო. იმერეთის მწიგნობარ შვილთა მეცადინეობა, რომ იმერული საგრამატიკო ფორმები გაბატონონ ქართულ მწერლობაში უნაყოფო არ დარჩება, მაგრამ ის ნაყოფი იქნება ისეთი, რომელზედაც აღმოცენდება სულ სხვა მწერლობა. შორს აღარ იქმნება ის დროც, როცა დ. კლდიაშვილის და ე. ნინოშვილის გმირების კილო გახდება სამწერლო ენა. კიდევ კარგი, თუ ერთობა მოახერხეს მწერლებმა და ცალ-ცალკე მწერლობა არ გაეჩინეს. ჯიბრზე თუ მიდგა საქმე, ესეც შეიძლება. მაშინ გაჩნდა აქეთ იმერული, იქით გურული ენა. მაშინ აშენდება საქართველო! ჩვენ კი სხვანაირად გვესმის საკითხი ქართული ენის გამდიდრებისა სათემო კილოებითა. ჩვენ კი ადგილობრივ ფიგურებს, აფორიზმებს და სიტყვებს ვიხმარდით, როცა მათ მაგიერი ქართულს და მის მწერლობას არ მოეპოვებოდა, ვიხმარდით მხოლოდ ქართველის ფორმით გამოთქმულსა.

ჩვენ მოძმე სომხებს მოუვიდათ ასეთი საკულტურო მარცხი. მათ მწერლობაში დღეს ორი უმთავრესი კილოა გაბატონებული. რუსეთის სომხები სწერენ და ლაპარაკობენ არარატულს (არარატის), ხოლო ოსმალეთის სომხები **კილიკიურს** (კილიკიისას). რად მოხდა ასეთი ამბავი ენის განვითარებაში, სულ სხვა საკითხია. ჩვენ უნდა აღვაროთ ვნება კულტურის წვალებისა და ვერიდნეთ.

შემდეგ წერილებში ვეცდებით, განვიხილოთ წესები 1) ზოგიერთ პრეფიქსიან ზმნათა მმართველობის, 2) დროთა მიმდევარობის და 3) კონიუნკტივის (დამოკიდებითი) სახის უღვლილებისა.

პეტრე მირიანიშვილი.

მუშავრული ამბები

მცხეთა. მცხეთის მკვიდრნი დიდს გაჭირვებაში არიან. იმათი უმეტესი ნაწილი სახნავ-სათესი, სათიბი და საძოვარი მამული მდებარეობს მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს. არაგვზე კი ხიდი არ არის. ამისა გამო ბევრჯელ არაგვი იმსხვერპლებს ხლმე მკვიდრთ ტ საქონელს. ასეთსავე მდგომარეობაში არიან მოსახლენი საგურამოს ველის სოფლებისა მოკიდებული ერნვალის ხიდიდან სოფელ მცხეთამდე. აუცილებლად საჭიროა ხიდის გაკეთება არაგვზე.

მცხეთიდან ნახევარ ვერსტის მანძილზე ჩრდილოეთის მხარეს, გორაკზე სდგას ბებრის ციხე. აქვე მდინარე არაგვი, შეზღუდულია კლდიანი ფერდობებით, სიგანით ორმოცი საჟენია. ასე ჰგონია კაცს, თითქოს თვით ბუნებას დაუნიშნავს ეს ალაგი ხიდის მოსაწყობადაო.

15 მარიამობისთვეს, ი. ი. ძის წინამძღვრიშვილის თაოსნობით, მცხ. ბოქაულისა ბ. დუმბაძისა, მამასახლისა, მემამულეთ მრევლიშვილებისა, ხალხისა და მოწვეული ინჟენერი ბერნარდ კაჟინსკის თანადასწრებით დაათვალიერეს ხეობა, გაზომეს სიგანე არაგვისა, გაჩხრიკეს ფერდობები, სადაც უნდა ჩაიდგას ბურჯები. ნიადაგის შესამოწმებლად ამოიღეს ორმოები და შეჰკრიფეს სხვა და სხვა მასალა ხიდის გეგმის შესადგენად. ამ საქმის მეთაურმა დაავალა ინჟენერს შეადგინოს გეგმა ხიდისა და იქონიოს მხედველობაში იმ გვარი ხიდის აშენებისა, რომელიც მოითხოვს მცირე ხარჯს.

სოფლის მკვიდრნი და მემამულენი აღტურვილნი არიან სურვილით დაეხმარონ ამ საქმეს შრომით, ურმით, ფულით და სხვა მხრივ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა თანაუგრძნობს ამ კეთილ საქმეს და საქმის დასამთავრებლად შეძლებისა დაგვარად, თავის წვლილს გამოიღებს.

ვასილი კობაიძე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

21 აგვისტო.

საზღვარგარეთ

საბერძნეთის მეფე.

პარიზი. ჩამოვიდა ექს-ლე-ბენიდან ელინთა მეფე და რამდენსამე ხანს შემდეგ დანიაში წავა.

ტრამვაის დაჯახება.

ლუკვი. პონტეევიკოში ტრამვაის ვაგონი ავტობუსს დაეჯახა. ერთი ქალი დაიღუპა და ხუთი კაცი დაშავდა.

ვერდენი. მიბმული ვაგონი მოსწყდა ტრამვაისა და ხალხს დაეჯახა. ოთხი კაცი მძიმედ დაშავდა, 5 მსუბუქადა.

ტრამვაი ჩინეთში.

პეკინი. გერმანელთა ფირმას უკისრნია პეკინში ტრამვაის გაყვანა. ჩინეთის მთავრობას ნება დაურთავს, რადგან ფირმას ავანსად 8 მილიონი მარკა მიუცია.

მფრინავები

ბერლინი. იმპერატორმა ჯარი დაათვალიერა. ვარჯიშობაში პირველად მონაწილეობდა მფრინავთა რაზმი. ზოგჯერ ერთად 8 აპარატი იყო ჰაერში მფრინავი. იყო ორი დირიჟაბლიცა.

გემის დაღუპვა.

კოპენჰაგენი. დანიის გემი „კურსკი“ (?) ანტვერპენიდან რიგაში გამოვიდა, გერმანიის ზღვაზე ჩაიძირა.

ავსტრიის ვაჭრობა.

ვენა. ავსტრიის საგარეო ვაჭრობის ბალანსი არ შეცვლილა. ივლისში შეუტანიათ 288 მილიონის საქონელი, გაუტანიათ 223 მილ. ამ წლის პასივი შეადგენს 605 მილიონს კრონს.

მექსიკის ამბავი.

ვაშინგტონი. გაზეთების სიტყვით, 2000 ამერიკელი მეამბოხეებს ქალაქ კანაუკში დაუმწყვდევიათ. ქალაქის აღება უეჭველია და ეშინიათ, ვაი თუ ხოცვა-ჟლეტა გაჰმართონო.

რ უ ს ე თ ი

არჩევნები.

ელისავეტგრადი. საბირჟო კომიტეტმა სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველად ამოირჩია იორდანოვი.

უფა. ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია ნადეჟუტატორი ტოლსტოი.

პერმი. სახელმწიფო საბჭოს წევრად ერობამ ისევ კამენსკი აირჩია. კამენსკი მდიდარი კაცია და გემებიცა აქვს.

საქალაქო ექიმები.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს მოუწონებია და სათათბიროს წარუდგენს საქალაქო ექიმთათვის ჯამაგირის მომატების კანონ-პროექტს.

მათემატიკოსთა ყრილობა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო და 1913 წლის 27 დეკემბერს მოხდება მთლად რუსეთის მათემატიკის მასწავლებელთა ყრილობა.

სახელმძღვანელოები.

პეტერბურგი. განათლების სამინისტრომ სახალხო სკოლათა ინსპექტორებს დაუგზავნა განკარგულებანი: სასტიკად ადევნეთ თვალ-ყური, რომ ყველა ტიპის სკოლებში მხოლოდ ისეთი სახელმძღვანელოები იხმარებოდეს, რომელიც მეცნიერთა კომიტეტის მიერ არის ძოწონებული ნება დართულიო.

თეატრი და ხელოვნება

მომავალი სეზონის რეპერტუარის შემუშავებას უკვე შეუდგა გამგეობა დრამატიული საზოგადოებისა და რეჟისორები. ამ ჟამად უკვე შემუშავებულია სია იმ პიესათა, რომელნიც პირველ ორ თვეში იქმნება წარმოდგენილი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართულ ორიგინალურ პიესებს და ამ მხრივ წლევანდელი სეზონი ფრიად საინტერესო იქნება. ახალ ორიგინალურ პიესათაგან ჯერ-ჯერობით განზრახულია წარმოსადგენათ: ნ. შიუკაშვილისა—„მთის ზღაპარი“ და „ციცინათელა“, ი. გედევანიშვილის—„ოჯახი“, დ. ნახუცრიშვილის—„ოჯახის ბურჯი“, ვ. შალიკაშვილის—„გადაჭრილი მუხა“, ლ. ქიაჩელის—„სამდედი შვილი“ და ს. ჭანტურიშვილის—„მორევში“. ძველ ორიგინალუ პიესათაგან განზრახულია განმეორება—ნ. შიუკაშვილის—„სიმახინჯისა“, ი. გედევანიშვილის—„მსხვერპლისა“ და „გამცემისა, ალ. სუმბათიშვილის „ღალატისა“. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება ახალი დეკორაციებითა და ახალი ძაზანსცენებით. დასი თითქმის შეიდგარა და ამ მოკლე ხანში სრულიად შეივსება.

ხარფუხი. კვირას, 19 აგვისტოს, მუსულმანთა აუდიტორიაში ხარფუხის სახალხო წარმოდგენა მმართველმა წრემ წარმოადგინეს „სიმდიდრის მსხვერპლი“, დრამა 3 მოქ. ბაჯიაშვილისა. ამ პიესას საზოგადოება ცოტად თუ ბევრად იცნობს, დრამამ, როგორც თანამედროვე ცხოვრებიდან ამოღებულმა, დაინტერესა დამსწრე საზოგადოება. ბ-ნ ბაჯიაშვილს ხელოვნურად დაუპირდაპირებია ერთმანეთისათვის სიმდიდრის მაძიებლის და მის მახლობელთა წრის ფსიხოლოგია. მართალია-დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ისეთი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ტიპები ჯერ არ მოიძებნებიან, მ-გრამ ავტორის ნიჭს წინ და წინვე განუჭვრეტია მომავალი ცხოვრების ტიპები, რომლებიც მან დღეს ჩვენ თვალწინ დაგვიყენა.

წარმოდგენა გაიმართა ბ-ნ ს. ჰეპანოვის რეჟისორობით, რომელიც მთავარ როლს (დათიკო) ასრულებდა, და საუცხოოდაც ჩაატარა; განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში. საუცხოოდ შეასრუ-

ლეს როლები ბ. ბ. ნ. მირველოვმა (ზახარ-ზახარიჩ), ი. რევაზოვმა (გიორგი თურმანიძე), დ. აბდუშელმა (ალექსანდრე); ქ. ქ. ო. ფეიქროვისამ (ელენე), მეხუზლამ (ქეთევანი), მ. მარგველაშვილისამ (თამრო).

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. წაკითხულ იქმნა რამოდენიმე ლექსი, რომლებიც საზოგადოებას მიეწონა; განსაკუთრებით ბ-ნი მელაშვილი და ქ-ნი კავთელი, მაგრამ საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სცენაზე გამოვიდა სტუდ. ი. ირემაშვილის 9—10 წლის ქალი მარო, რომელმაც საუცხოო დეკლამაციით წაიკითხა ორი ლექსი: „მგელი და კრავი“ და „ტუსაღი“. ამის შემდეგ საზოგადოება დიდად ასიამოვნა თვით სტუდ. ი. ირემაშვილის, მის პატარა ქალის, მაროსი და 7 წლის ვაჟის, გიორგის სამხმოვანმა ქართულმა სიმღერებმა. მწყობრად და ტკბილად იმღერეს: „კარგი რამ ხარ ჩემო სამშობლო“, „პაპა მყავდა მეომარი“, „თებრონე მიდის წყალზედა“. ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა. ამის შემდეგ ადგილობრივმა ხორომ ბ-ნ გ. ოძელაშვილის ლოტბარობით კარგად შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა.

ასეთი წარმოდგენა ასეთის დივერტისმენტით ხარფუხის სცენას ჯერ არ უნახავს.

მადლობის ღირსია ბ-ნი ს. პეპანოვი ასეთ წარმოდგენის გამართვისთვის, და ვუსურვებთ ხარფუხის საახალო წარმოდგენების მმართველ ნორჩ ფრეს აყვავებას და წარმატებას ამ დიად კულტურულ განმანათლებელ გზაზე.

არ. მეტრეველი.

დაბა აბას-თუმანი. 13 აგვისტოს გაიმართა საღამო-მეჯლისი, ბ. ბ. ი. ზარდალიშვილის, ი. გრიშაშვილის და პ. ციოთაძის მონაწილეობით. წარმოადგინეს: „უბედური დებიუტი“ (ვოდ. 1 მოქმ.) და „ვაი ყობოს“ (ფარსი 1 მოქმ.). ამას გარდა გაიმართა სალიტერატურო დივერტისმენტი. ხალხი ბლომად დაესწრო. ითამაშეს მშვენივრად მეტადრე ი. ზარდალიშვილმა ვოლოდიას როლში ნამდვილი გიმნაზიელის ტიპი დაგვიხატა თავისი შეუდარებელი ფანტაზიებით და ტირილით, როდესაც „მისი საყვარელი ლიდია ვერ გაიგებდა ხოლმე მის მისწრაფებას. უფრო მშვენიერი იყო ბ. ზარდალიშვილი „ყობოს“ როლში. ებრაელის ტიპი ზედმიწევნით დაგვიხატა: ქცევით, მიმიკით და კილოთი. არა უშავდათ რა პ. შოთაძეს და ი. გრიშაშვილმა უფრო მოხიბლა საზოგადოება თავისი ლექსების დეკლამაციით, თუმცა წაკითხული ლექსები ახალი არ იყო. **დამსწრე.**

წერილი რედ. მიმართ

ამ თხუთმეტ წლის წინად „ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა ჩემი რომანი: „მოლაპულ გზაზე“. ჟურნალში დაბეჭდის შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა და დიდი ხანია უკვე გასასყიდად აღარ იშოვება. რადგან ხშირად გამიგონია „მოლიპულ გზაზეს“ კვლავ თხოულობენ წიგნის მაღაზიებშიო და ისე კერძოთაც ბევრს უთხოვნია ჩემთვის, განვიზრახე, გამოვცე ხელის მოწერით და შევეკითხე ტფილისში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მიღაზიის გამგეს ბ. ი. ავალიშვილს და ქუთაისში ჟურნალ გაზეთების კანტორას „იმერეთს“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას, იკისრებენ თუ არა ხელის მოწერის მიღებას. ამათგან თანხმობა მივიღე და ვბეჭდავ ხელის მოწერის გამართვას. წიგნი 600 გვერდამდის იქნება და კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი. **ხელის მომწერთათვის ეღირება ერთი მანეთი.** წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში: ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში; გარდა ამისა კანტორა „იმერეთის“ ყველა აგენტებთან; ფოსტით დაბარება შეიძლება ამ მისამართით: გორი—ანასტასია ხოშტარიას.

გამოირკვევა თუ არა ხელის მომწერთა რაოდენობა, ამ შემოდგომაზედვე შევუდგები წიგნის ბეჭდვის თადარიგს და მომავალი წლის დასაწყისში ხელის მომწერლებს წიგნი დაურიგდებათ.

არ შემიძლიან მადლობა არ გამოვუცხადო ზემოდ დასახელებულ პირთ და დაწესებულებათა თანაგრძნობისათვის. ვთხოვ ქართულ სხვა ჟურნალ გაზეთების რედაქციებსაც, გადაბეჭდონ ეს წერილი.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ ტფილისში მყოფ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სოფელ წესის უფასო სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება ფულათ თუ წიგნების შემოწირვით: სამ-სამი მანეთი. ლუკა კერესელიძემ, თედო მელაშვილმა და ვანო მაისაშვილმა. 5 მან. იასონ ნატბელაძემ 1 მ. 50 კაპ. თითო მანეთი: ბესო მაისაშვილმა, ვარლამ მუსერიძემ, ფილიპე მაისაშვილმა, იოსებ მაისაშვილმა, ბიჭია მაისაშვილმა, ერმინე კერესელიძემ, ზაქარია მაისაშვილმა, ალექსი მაისაშვილმა. ათ ათი შაური; სასო მაისაშვილმა, ვარლამ მაისაშვილმა, კოლია კერესელიძემ, მინა მაისაშვილმა, ნესტორ მაისაშვილმა, გაბო მაისაშვილმა სიმონ მაისაშვილმა, გიორგი ჯანგიძემ, ნიკო მაისაშვილმა, ვარლამ ნატბელაძემ, შაქრო ვარსამიძემ. ორ-ორი აბაზი: სანდრო ონიკაძემ. ექვს-ექვსი შაური შემოსწირეს: იაგორა მაისაშვილმა, ნესტორ ბრეგვაძემ. ხუთ-ხუთი შაური: ელიზბარ მაისაშვილმა, კაცია ყავლაშვილმა, მიხა ბენდინაშვილმა, ეფრემ ტარანიანცმა, გიორგი ბელაშვილმა. ათ-ათი შაური შემოსწირეს: არჩილ ფონჯაიძემ, ლუკა ბურდილაძემ, გიგო კერესელიძემ, პორფირე ბერიშვილმა. თითო აბაზი: იასონა მაისაშვილმა, ესაო ნატბელაძემ, გიორგი მელაშვილმა, ასკალონ მაისაშვილმა, ალფეზა მაისაშვილმა, გერესიმე მელაშვილმა, ლადო მაისაშვილმა, პავლე სულაშვილმა, მიხეილ შოშიაშვილმა, ძირონ მოხევიშვილმა. ორ-ორი შაური შემოსწირეს: აარონ კაზაკოვმა, იაკა შაიბეგოვმა, ვასო ქრისტესაშვილმა, მიხეილ ქვრივიშვილმა, ლავრენტი ფონჯაიძემ. წიგნები შემოსწირეს: სოსიკო მერკვილაძემ 4 მ. და 80 კაპ. წიგნები. სიმონ მაისაშვილმა 8 მ. და 80 კაპ. წიგნები. მიხეილ მაისაშვილმა 3 მ. და 85 კაპ. წიგნები.

სიამოვნებით უნდა ავღნიშნოთ ეს ფული და წიგნები. შემოწირულია სულ მდაბიო მუშა ხალხისაგან. ჩვენი მოწოდება დასტამბული იყო გაზეთ „თემში“. მოწოდებას ერთმა ინტელიგენტმა არ მიაქცია ყურადღება და ისევ მუშა ხალხმა არ დაიშურა თავიანთი ოფლით მოგებული წვლილი ხსენებულ საქმისათვის. განსაკუთრებით უღრმეს მადლობას ვუძღვნით მიხეილ მაისაშვილსა და იასონ ნატბელაძეს, რომელთაც შეკრიბეს ეს ფული და წიგნები თავიანთ ნაცნობთა შორის და მოგვაწოდეს სამკითხველოსთვის.

წესის უფასო სამკითხველოს გამგეთა მოდგობილობით **ვანო ჭიჭინაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კუკადღელაშვილი.

გაბოსაღები ცნობა
მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საავგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისაკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საავგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე
რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღითან და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თამეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ნატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

ნ06“—11—12 ს. ფეშხაკუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული. და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. ვ. ავასარდოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. ფულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავად.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნასარდიანი.**

(წ. 1078.196)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საგუპალტრო კურსები
ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღია ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—10)

საათის მოუყვარულთათვის
არის საათი „ბონერი“.

ვისაც კოტაობა უყვარს და ჰსურს ჯიბის კარგი საათი ჰქონდეს, ვურჩევთ შეიძინონ ახლად გაუმჯობესებული საათი ლურჯი სვედიანი ფოლადისა მშვენიერ, ფანტაზიურ ყალიბისა, ძალიან თხელი; სისქე თითქმის არ აღემატება ვერცხლის მანეთიანს, მომართავ სპირდება 40 საათში ერთხელ, ანკერის სისტემისა, 15 ქვიანი, ლამაზის გარეგანის ისრით (იხ. სურათი). განსაკუთრებით ყურადღების ღირსია საათის სისწორე, რომელიც წუთებით არის გამოანგარიშებული. საათი იმდენად მკვიდრია, რომ ქარხანა 5 წლის გარანტიას იძლევა. ფასი ეხლოდ 3 მ. 50 კ. რადგანაც ამ შესანიშნავის საათის გავრცელება ბსურს, საათთან ერთად **უფასოდ** ვარიგებ ჯილდოდ 17 სასარგებლო ნივთს: 1. ორ-ორიგ ამერიკი ოქროს ჯაჭვს; 2. შახა-სინეგმატოგრაფს ლამაზ ქალთა სურათებითა; 3. ნატის სასაათე ბუდეს; 4—7. ჯიბის ტყავის ნეხსეფრს ოთხ აუცილებელ ნივთითა; 8. საათის ქურდთაგან უხრწნველმყოფელს; 9. **ახალი ამბავი!** ჯიბის სტერეოსკოპი **პლასტოგრაფი** (იხ. სურ.); 10—5. ს სასტერეოსკოპო მშვენივრად დახატულს სურათს. 16. რომელნის მე ნივთისაგან შემდგარს ნიკელის სამწერლო მოწყობილობას. 17. ახალ მოდის უცხო პორტმანეს, 6 განყოფილებიანს, ძალიან თხელია და ჯიბეში სატარებლად მოხერხებული. მხოლოდ 3 მ. 50 კ. ორი ს. სარეკლამოებით 6 მ. 50 კაპ. გარანტიური საათითა და უმაღლესი ღირსების ნივთებითა 4 მ. 25 კ. **ორი გარანტ. 8 მ.** ამისთანავე ქალის გარანტ. 3 **მან. 95 კ.** უგზავნით უბოდ ფასდადებით, გაგზავნა **40 კ.** ციმბირში **75 კ.**

ადერესი: Т-ва „Аккуратность“, Варшава, отд. 116

ადერესი ამოსაჭერით და მაგრად დაკაერით კონვერტსა ან ღია ბარათზე.

Метцль 44279. (2.1457.1)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
გუხპალტრიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
ი. ფ. კალაფნიკოვისა,
(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სექტესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესი მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხპალტერიისა და სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხპალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის ჩვენსწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ სააღებ-მიცემოს, საბანკოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ეროობისა. 3. საკომერციო არითმეტიკას. 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას, 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას. 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

(25—1447—3)

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა „ცისკარი“-ს ბეჭდვა
კლიშეების დამზადება.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ეკონომიურად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.2)

საბანკო სახლი „ლ. ვ. ლანდაუ“ და ამხ.
კავკასიის საგენტო,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 65, ტელეფ. 11—77.

შინაგან სესხის მეორე მომგებიან ბილეთებს აზღვევს მიმდინარე წლის 1 სექტემბრის ტირაჟში გამოსვლისაგან. 7 მან. 50 კ.

(5.1138.2)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ. ალიევნოვნები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
(წ.1131.236)

მივიღეთ აგრედვე ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება სახელმძღვანელო წიგნები: (20% დათმობით)

გოგებაშვილის დედა-ენა I			
უყდო	ფ. 10 კ.		
„ „ I ყდიანი	— 15 კ.		
„ „ II	— — 40 კ.		
„ ბუნების კარი	70 კ.		
„ Методика къ Русскому слову	40 კ.		
„ Русское слово I	40 კ.		
„ „ „ II	50 კ.		
გომელაური. ქართველი მწერლები I	80 კ.		
„ „ II	1 მ. 45 კ.		
იოსელიანის ლოცვანი ყდით	30		
„ საღმრთო სჯული	— 50		
ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი	60		
ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ.	1 მ. 25		
აკაკი. იგავ არაკნი	50		
ვეფხის ტყაოსანი	60		
კაცია-ადამიანი?	20		
გლახის ნაამბობი	20		
კაკო ყაჩაღი	5		
ქართ. წერის დედანი სახატავი ნიმუშებით	25		

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.105

1912 წ. ვიეღეგა ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით. მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинский просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **სახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიოშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდაშარიასთან. **ყარსში**—ფერწალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1393—99 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ე. ა. ცატუროვის
საწყობი
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

ყიდება

ნავთის სახურაგელი ინვერტის ფარნები
„იგა“,



გარეგ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „იგა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოა მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

200	სანთლის	სინათლიანს	25 მისხალი.
1100	„	„	32 „
1800	„	„	80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანრის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდებასრულის თავდებობით,** რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში

საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **სალელექტრონო არმატურისა;** შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. 12.—396.15